

ფრანგი ექიმი და ერეკლე II

ჩემი ესე ეხება ხელნაწერთა ცენტრში დაცულ ისტორიულ საბუთს, კერძოდ ერეკლე II -ს წერილს სტეფან ფოდოაშვილისადმი. ამ წერილზე დაყრდნობით მინდა შემოგთავაზოთ ამ წყაროს ჩემი ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ამ წერილიდან ჩვენ ვიგებთ, რომ სტამბოლში მყოფ მოქალაქე სტეფან ფოდოაშვილს ერეკლე II სთხოვს შეხვდეს და საქართველოში დიდი მოწიწებით და რულუნებით გააცილოს ფრანგი ექიმი. გზაში როგორც ნამდვილ ქართველ მასპინძელს შეეფერება მაქსიმალურად პატივი სცეს და ყველა მისი ხარჯი თავის თავზე აიღოს. ამ სამსახურის სანაცვლოდ ერეკლე II სტეფანს ჰპირდება ყველა გაწეული ხარჯის ანაზღაურებას და დიდ დაფასებას. ჩემი აზრით, ფრანგი არ იქნებოდა უბრალო ადამიანი და ვინაიდან მიიპყრო ჩვენი მეფის ყურადღება, მას ექნებოდა ამავდროულად დიპლომატიური მისია. მაშინდელი ქალაქი სტამბოლი იყო მსოფლიო უდიდესი ქალაქი, სადაც ხდებოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ჩემი ვარაუდით, ექიმს ჰქონდა საფრანგეთის მეფისგან ან საგარეო საქმეთა მინისტრისგან დავალებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემა ერეკლე მეფისადმი და ვინაიდან სტამბოლი წარმოადგენდა მაშინდელი მსოფლიოს სატრანსპორტო ცენტრს, ის აპირებდა ამ ქალაქის გავლით საქართველოში ჩამოსვლას. იმდროინდელ საქართველოში მრავლად მოღვაწეობდნენ ევროპელი მისიონერები, რომლებიც ცდილობდნენ ქართველების კათოლიკურ რელიგიაზე გადმობირებას, ამავდროულად მოსახლეობის გულის მოგების მიზნით ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომლის დეფიციტი იყო საქართველოში. ყველაზე მეტად ჩვენთან ფასობდნენ ექიმები და უცხო ენების პედაგოგები. ვფიქრობ, ექიმობის გარდა ჩვენი სტუმარი იქნებოდა მისიონერიც. ვინაიდან ჩვენი ექიმი ისედაც ჩამოდიოდა საქართველოში საქმიანობის გასაგრძელებლად, ამიტომ მას თან გამოატანეს ერეკლე მეფისადმი დიპლომატიური გზავნილი. მაგალითად, იგივენაირად ხდება ჩვენთან სვანეთში, თუ ვინმე სოფლიდან მიდის მესტიაში მას აბარებენ იქიდან ჩამოიტანოს მათვის სასურველი ნივთი ან ბანკში ან ტელეფონზე ჩარიცხონ თანხა. ექიმის გაგზავნა ქართლ-კახეთში უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, ვინაიდან თურქეთი მტრულად განწყობილი სახელმწიფო იყო საქართველოს მიმართ ოფიციალურად ჩასულ ფრანგ ელჩს დააპატიმრებდნენ და წამების მუქარით ათქმევინებდნენ მისი დავალების შინაარსს, ამიტომ საჭირო იყო ამ მისიის შენიღბვა და ფარულად შესრულება. ერეკლე მეფეს მაშინ აქტიური დიპლომატიური მიმოწერა ჰქონდა ევროპელ მონარქებთან და ცდილობდა მათგან დახმარების მიღებას საერთო მტრების თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ.

როგორც წერილიდან ჩანს, სტეფანე ფოდოაშვილი სარგებლობს ჩვენი მეფის დიდი ნდობით, სხვა შემთხვევაში ერეკლე II მას არ დაავალებდა ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს. რადგან სტამბოლში გამგზავრება იყო დაკავშირებული დიდ თანხებთან და დროსთან, სავარაუდოდ ბატონი სტეფანე იქნებოდა შეძლებული ადამიანი და სავარაუდოდ მისი საქმიანობა იქნებოდა ვაჭრობა. კახეთის ყველაზე მოთხოვნილი იმპორტირებული საქონელი იყო აბრეშუმი. ალბათ სტეფანეს აბრეშუმი ჰქონდა ჩატანილი სტამბოლში გასაყიდად, ხოლო უკანა გზაზე აპირებდა თურქეთიდან უცხო პროდუქციის ჩამოტანას. სავარაუდოდ, სტეფანე ფოდოაშვილის ექიმზე მზრუნველობის გარდა ევალეობდა მისი დაცვა, ვინაიდან ძველ დროში მძვინვარებდა კრიმინალი და გზებზე გადაადგილება არ იყო უსაფრთხო. ვფიქრობ, რომ ამისთანა დავალებას მეფისგან პირველად არ ასრულებდა და გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მას ალბათ ჯილდოს სახით ელოდება საჩუქრად ან მიწები, ან ყმები ან სავაჭრო შეღავათები.

რომ შევაჯამოთ, ამ ერთი უბრალო წერილიდან ჩვენ შევეცადეთ სტრიქონებს შორის ამოგვეკითხა მის უკან დამალული შინაარსობრივი დატვირთვა. ამ წერილის გაშიფრვით, ჩვენ გამოვიტანეთ

დასკვნა, რომ ექიმის ჩამოსვლა დაკავშირებულია ქართული-ფრანგული დიპლომატიური ურთიერთობებით. ამ წერილიდან ჩანს, თუ როგორ შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა ქართლ-კახეთის მეფეს ევროპასთან მიმართებაში და როგორი ყურადღებით უდგებოდა ნებისმიერ საქმეს.

ქრისტინა ფანგანი,

14 წლის, მესტიის რაიონის წვირმის საჯარო სკოლი 10 კლასის მოსწავლე

საცხოვრებელი ადგილი: მესტიის რაიონის სოფელი იელი